სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება

მოკლე მიმოხილვა

ანგარიში მომზადებულია ევროპის ფონდის დაკვეთით, ფონდის ევროპული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა ევროპულ ღირებულებებთან, სტანდარტებთან და პრაქტიკასთან დაახლოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიშის ავტორთა მიერ გამოთქმული შეფასებები და მოსაზრებები შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ევროპის ფონდის ან შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პოზიციებს.

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის ევროპის ფონდს

© ევროპის ფონდი, 2017 წ.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სურსათის უვნებლობის სფეროს სახელმწიფო რეგულირების მეექვსე წლიურ შეფასებას, რომელიც ევროპის ფონდის ორგანიზებით მომზადდა. ფონდის წინა წლიური შეფასებების მსგავსად, ამ შეფასებაშიც ტერმინი „სურსათის უვნებლობა“ გამოიყენება ფართო გაგებით და თუ სხვაგვარი განმარტება საგანგებოდ არ არის მითითებული, მოიცავს არა მარტო საკვები პროდუქტების უვნებლობას, არამედ ვეტერინარიას (ცხოველთა ჯანმრთელობა), ფიტოსანიტარიას (მცენარეთა დაცვა) და ეპიდემიოლოგიას (ადამიანის ჯანმრთელობა და საკვებით გამოწვეული დაავადებები), რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საქართველოში საკვები პროდუქტების ხარისხსა და უვნებლობაზე და შესაბამისად, მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე.

იმის მიუხედავად, რომ 2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა ქვეყნის სურსათის უვნებლობის სისტემის განსავითარებლად უფრო აქტიური და სისტემური გახდა, ხელისუფლება რეფორმებს მაინც ეტაპობრივად ახორციელებს. ეს ეტაპები ასახულია ისეთ ძირითად სარეფორმო დოკუმენტებში, როგორებიცაა: „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014–2017 წლების სამოქმედო გეგმა“, „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებასა და ასოცირების შეთანხმებასთან დაახლოების 2015-2027 წლების გეგმა“ და „2017-2019 წლების ინსტიტუციური რეფორმისა და განვითარების გეგმა“. ეტაპობრივი განხორციელების გამო რეფორმები ჯერ კიდევ არ გატარებულა მრავალი მიმართულებით. შედეგად, სისტემა კვლავ დგას რიგი გამოწვევების წინაშე შესამუშავებელი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით დაწყებული, კონკრეტული კონტროლის განხორციელებაზე სახელმწიფო უწყებათა უფლებამოსილების განაწილებით დასრულებული. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს რეფორმების განხორციელებას და ეს ნაკლოვანებები თანდათან აღმოიფხვრება.

2015-2016 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკანონმდებლო მიახლოების გეგმით გათვალისწინებული 55 საკანონმდებლო აქტი მიიღო და გეგმა შეასრულა. თუმცა, ამ საკანონმდებლო ინსტრუმენტების დიდ ნაწილს სრულად ამოქმედებისათვის 1 ან 2 წლიანი გარდამავალი პერიოდი სჭირდება, ხოლო ზოგის ამოქმედება 2020 წლამდეა გადავადებული. ზოგიერთი რეგულაციისთვის გარდამავალი პერიოდი მართლაც საჭიროა მათი წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ბევრი დაინტერესებული მხარე საკანონმდებლო აქტებისათვის დაწესებულ გარდამავალ პერიოდებს უფრო მათი აღსრულების გადავადებად აღიქვამს, ვიდრე შესაბამისობაში მოსვლისათვის მოსამზადებელ პერიოდად, რომლის დასრულების შემდეგაც ჯარიმები იქნება გამოყენებული. ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდები უნდობლობას აჩენს ახალი კანონმდებლობისა და მთელი პროცესისადმი, ხოლო მომხმარებლების უსაფრთხოებას რისკის ქვეშ ტოვებს.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს ხელისუფლების მიერ სრულად ფუნქციონირებადი სურსათის უვნებლობის სისტემის შესაქმნელად და მომხმარებელთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად წარმატებით განხორციელებული ღონისძიებები. ანგარიშში ასევე განხილულია ის პრობლემური სფეროები, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები რეფორმების პროცესის, უფლებამოსილებათა განაწილების, რეფორმების განხორციელების, პროგრამის ადმინისტრირებისა და სხვა სფეროებში. ანგარიში ასევე მოიცავს დასკვნებსა და რეკომენდაციებს. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები თითოეული იმ უწყებისთვის, რომლებიც რეფორმების განხორციელებაში მონაწილეობენ.

ძირითადი მიგნებები და დასკვნები

- საკანონმდებლო დაახლოების პროცესი ტექნიკური თვალსაზრისით გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი ჩანს. თუმცა, ინტერვიუების და ფოკუსჯგუფების რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესის უფრო ადრეულ ეტაპზე ჩართვას, სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან მეტი ინფორმაციის მიღებას და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდის გარდა, სხვა საკომუნიკაციო არხების არსებობას.

- ვინაიდან სურსათის ეროვნულ სააგენტოს ყოველწლიურად ემატება ინსპექტირების და კონტროლის ახალ-ახალი პასუხისმგებლობები და უფართოვდება კონტროლის სფერო, მას კვლავ სჭირდება სათანადო ცოდნის, მომზადების და უნარების მქონე დამატებითი კვალიფიციური პერსონალი. სურსათის უვნებლობის ექსპერტების სიმცირე თვალშისაცემია კერძო სექტორშიც. ამ ფონზე, სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ინსტიტუციური განვითარების პროცესს, რომლის ფარგლებშიც დაასრულა რამდენიმე სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა. 2016 წლის ბოლოსთვის ხარისხის მართვის დეპარტამენტმა დამატებით 11 სტანდარტული ოპერაციული პროცედურა შეიმუშავა.
- სურსათის ეროვნულ სააგენტოში იმ თანამშრომელთა დენადობის მაჩვენებელი, რომლებიც ხელმძღვანელ პოზიციებზე არ არიან დასაქმებული, მაღალია. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, კადრების ცვალებადობის გამო, დროთა განმავლობაში ვერ უზრუნველყოს ინსტიტუციური ცოდნის მდგრადობა; ეს მოითხოვს ტრენინგის საჭიროებების განსაზღვისადმი უფრო სისტემურ მიდგომას და არსებული და ახალი თანამშრომლებისთვის ტრენინგების რეგულარულად ჩატარებას.
- როგორც ინტერვიუების და ფოკუსჯგუფების რესპონდენტებმა აღნიშნეს, საზოგადოება არ არის ინფორმირებული სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზის შესახებ, სადაც საჩივრების შეტანაა შესაძლებელი. რესპონდენტების განცხადებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს შესახებ არც ერთ მათგანს სმენოდა მანამ, სანამ თავად არ შეემთხვათ „ინციდენტი“ და არ დასჭირდათ მოძიება, თუ რომელ პასუხისმგებელ უწყებას დაკავშირებოდნენ.
- სურსათის ეროვნული სააგენტოში ფუნქციონირებს სამოქალაქო დარბაზი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას, მიიღოს დაინტერესებულ მხარეთა რჩევები და მოისმინოს მათი მოსაზრებები საჯარო და კერძო სექტორების პირდაპირი დიალოგის გზით. სამოქალაქო დარბაზი სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საზოგადოებრივ სექტორთან თანამშრომლობით შექმნა, რათა უზრუნველეყო კერძო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამონაწილეობა და მათგან მოსაზრებების მიღება, თუმცა, აშკარაა, რომ ამ ინიციატივას შემდგომი გაუმჯობესება ესაჭიროება. 2016 წელს დარბაზი მხოლოდ სამჯერ შეიკრიბა, რაც არ არის საკმარისი; ამასთან, გამოკითხული ექსპერტების თქმით, ეს შეხვედრები არ იყო სათანადოდ ორგანიზებული და ძალიან ხანმოკლე იყო იმისათვის, რომ წარმოდგენილი საკითხები სიღრმისეულად განეხილათ.
- ვინაიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების და კონტროლის სფეროები და პასუხისმგებლობა ყოველწლიურად იზრდება და კონტროლის მასშტაბი 2020 წელს კიდევ უფრო გაფართოვდება, სააგენტოს მომავალშიც დასჭირდება სათანადო ცოდნის, მომზადებისა და უნარების მქონე დამატებითი კვალიფიციური პერსონალი.
- კვლავ შეიმჩნევა კონტროლის ნაკლებობა სურსათის იმ ბიზნესოპერატორებზე, რომელთა წლიური შემოსავალიც 200,000 ლარზე ნაკლებია. ეს რისკს უქმნის მომხმარებელთა უსაფრთხოებას, რადგან საქართველოში საკვები პროდუქტების დიდ წილს მსგავსი, მცირე ზომის ბიზნესოპერატორები აწარმოებენ.
- 2016 წელს გაუმჯობესდა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) მოთხოვნების ამოქმედება სურსათის შესაბამისი ბიზნესოპერატორებისთვის. მართალია, ყველა ასეთმა ბიზნესოპერატორმა ვერ დანერგა HACCP-ის სისტემა, მაგრამ გაიზარდა ისეთი რძის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სასაკლაოების რიცხვი, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს და HACCP დანერგეს. თუმცა, არ არსებობს მონაცემები იმ ბიზნესოპერატორების რაოდენობის ან პროცენტული წილის შესახებ, რომლებმაც დანერგეს HACCP.
- 2016 წელს, სურსათის 489 ბიზნესოპერატორს მიენიჭა პირობითი აღიარება, ხოლო სურსათის 42 ბიზნესოპერატორს - აღიარება. ეს მნიშვნელოვანი ზრდაა 2015 წელთან შედარებით, როდესაც მხოლოდ 147-ს მიენიჭა პირობითი აღიარება. მიუხედავად შესაბამისობის ასეთი მატებისა, ეს მაინც ბაზრის მხოლოდ მცირე წილს წარმოადგენს. არ არსებობს მონაცემები, რომლითაც დადგინდებოდა, საკვები პროდუქტების რა პროცენტული წილი ექცევა საქართველოში

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

- სურსათის ეროვნული სააგენტომ აამოქმედა სურსათის ბიზნესოპერატორების რეგისტრაციის პროგრამა. სისტემაში უკვე ატვირთულია და დაზუსტებულია 20,310 ბიზნესოპერატორის მონაცემები. თუმცა, არ არსებობს დაზუსტებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ბიზნესოპერატორი ოპერირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გარეშე.
- 2016 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტმა ჩაატარა 5,381 გეგმიური (+42%), 613 დაუგეგმავი ინსპექტირება (-13%) და 9,242 დოკუმენტური შემოწმება (+13.8%), რაც სურსათის ხარისხსა და უვნებლობასთან დაკავშირებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებია.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა 11 სხვადასხვა ცხოველური დაავადებისთვის დანერგა მეთვალყურეობის სისტემა, სერომონიტორინგი, ვაქცინაცია და ინსექტიციდების გამოყენება როგორც რისკზე დაფუძნებული შეფასების, ასევე რეალური საფრთხის დაფიქსირების საფუძველზე.
- მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლამდე ვეტერინარიული მედიკამენტების და სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების გამოყენების კონტროლი ძალიან სუსტი იყო, გაუმჯობესდა საკანონმდებლო ბაზა. შედეგად, სურსათის ეროვნულ სააგენტოს ვეტერინარიული მედიკამენტების საცალო გამყიდველების ინსპექტირებისა და არალეგალური მედიკამენტების ბაზრიდან ამოღების შესაძლებლობა მიეცა. თუმცა, არ არსებობს მონაცემები, რომლებიც ასახავდა, ვეტერინარიული მედიკამენტების საცალო გამყიდველთა რა პროცენტული წილი იქნა შემოწმებული ან როგორი იყო შეუსაბამობის დონე.
- 2016 წელს სურსათის ეროვნული სააგენტო ევროპის და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის წევრი გახდა, რამაც შედეგად ფიტოსანიტარიული კონტროლის პროგრამის გაუმჯობესება მოიტანა და ხელი შეუწყო 2017 წლის ფიტოსანიტარიული კონტროლის პროგრამის შემუშავებას 2016 წლის მეორე ნახევარში. გარდა ამისა, ფიტოსანიტარიულ სფეროში დაახლოების პროცესში სააგენტო მუშაობს სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებსა და სურსათის ბიზნესოპერატორების ფიტოსანიტარიული რეესტრის შექმნაზე. პასუხად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ დაიწყო „ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია საქართველოს ფიტოსანიტარიული სისტემის „ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების შეფასება“.
- 2016 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ წყალმომარაგების სისტემიდან აღებული 462 სინჯის ანალიზი განახორციელა, რომელთა 47% არ შეესაბამებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ წყალმომარაგების სისტემიდან აღებული სინჯების ანალიზის უარყოფითი შედეგების 90% სოფლებში არსებული წყლის მიკრობიოლოგიურ დაბინძურებაზე მოდის. ქალაქებში კი წყალმომარაგების უკეთესი სისტემებია და დარღვევებიც ნაკლებია, რაც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მონაცემებში დაბინძურების დაბალი მაჩვენებლებით დასტურდება.
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მონაცემებით, ტესტირების შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 2016 წელს ჩატარებული სათავე ნაგებობის, მიწისქვეშა წყლების და სასმელი წყლების 44,354 სინჯის შემოწმებიდან მხოლოდ 691 (1.56%) შემთხვევაში დაფიქსრიდა სტანდარტთან შეუსაბამობა, თუმცა რაიმე კრიტიკული დარღვევა 2016 წელს არ დაფიქსირებულა.
- შემოსავლების სამსახურმა სამი საბაჟო გამშვები პუნქტის - კარწახის, ფოთისა და ადლიის - ინფრასტრუქტურა ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასაზღვრო ინსპექციის აღჭურვილობით გააძლიერა და წითელი ხიდის და სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტების გაუმჯობესება დაიწყო.
- 2016 წელს, შემოსავლების სამსახურის პერსონალმა ვეტერინარიული (ხორცი და ცოცხალი საქონელი) და ფიტოსანიტარიული კონტროლის სახელმძღვანელოების და სტანდარტული

ოპერაციული რეგულაციების პროექტები შეიმუშავა, რომელთა ამოქმედებაც მოგვიანებით, 2017 წელსაა დაგეგმილი.

- 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს გაიზარდა ვეტერინარიული, ფიტოსანიტარიული და გენმოდიფიცირებული პროდუქტების კონტროლის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება ვეტერინარულ კონტროლს, რადგან ამ სფეროში აღმოჩენილი დარღვევების რაოდენობა 2016 წელს მკვეთრად გაიზარდა.
- 2016 წელს, დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა.
- 2016 წელს დაახლოების პროცესში რამდენიმე ძირითადი საკანონმდებლო აქტის შემოღების შედეგად განახლდა საერთო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული ბაზა.
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) 13 სტანდარტი მიიღო, რომლებიც საკვალიფიკაციო ტესტირებას და სურსათის უვნებლობის ანალიზს ეხება.
- აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა ყველა აკრედიტებული ლაბორატორიისათვის შემოიღო სავალდებულო მოთხოვნა, ჩაატარონ საკვალიფიკაციო ტესტირება ან ლაბორატორიათაშორისი გამოცდების „დადებითი შედეგების“ შედარებები.
- საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა 2016 წლის ნოემბერში გაიარა ევროპული აკრედიტაციის საბოლოო აუდიტი და 2017 წელს მოელის ევროპულ აკრედიტაციასთან (EA) ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერას ურთიერთაღიარების შესახებ.
- მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის თანამშრომლებს ტრენინგები უტარდებათ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკის შეფასებაში, სამსახურს არ ჩატარებია მსგავსი სწავლება ვეტერინარიული და ფიტოსანიტარიული რისკების შეფასებაში, რისი პასუხისმგებლობაც მას სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2016 წელს დააკისრა.
- კვლავ გამოწვევად რჩება სოფლის მეურნეობის სამინისტროში კონკრეტული საფრთხეების რისკის შეფასების პოლიტიკის არარსებობა, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა სურსათის უვნებლობის ევროპული სააგენტოსა (EFSA) და სურსათის საკვების ხარისხის კოდექსის (Codex Alimentarius) მოთხოვნებთან. რისკების შეფასების არსებული ზოგადი პოლიტიკა არ მოიცავს შესაბამის ინფორმაციას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკაზე დაყრდნობით ჩაეტარებინა რისკების დეტალური შეფასება.
- რესპონდენტების თქმით, სურსათის სფეროში მოქმედი ლაბორატორიების შემოსავლების უდიდესი წილი საჯარო ტენდერებზე მოდის, რაც სოფლის მეურნეობის ლაბორატორიასა და კერძო ლაბორატორიებს შორის მძაფრ კონკურენციას წარმოშობს.
- კერძო სექტორის ლაბორატორიების მიერ ჩატარებული ანალიზების რიცხვი არ არის მაღალი, ვინაიდან სურსათის ეროვნული სააგენტო სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის მხოლოდ წლიურ ინსპექციას ითხოვს. ეს არ არის საკმარისი, რომ სათანადოდ გაკონტროლდეს, თუ როგორ ხდება სურსათის უვნებლობის სისტემების დანერგვა ბევრი ბიზნესოპერატორის მიერ. თუმცა, სურსათის ზოგი ბიზნესოპერატორი აცხადებს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებას უკვე კვარტალურად ითხოვს.

რეკომენდაციები

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გასაზრდელად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საკანონმდებლო დაახლოების პროცესის საჯარო და კერძო სექტორების დიალოგის კომპონენტის ფარგლებში, ვებგვერდზე სამი დოკუმენტი უნდა

გამოაქვეყნოს: (1) საქართველოს კანონის პროექტი, (2) ევროკავშირის რეგულაციის ინგლისური ვერსია, და (3) ევროკავშირის რეგულაციის თარგმანი.

- ახალი რეფორმების განხორციელებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ინსპექტირების და კონტროლის ახალი მოთხოვნების შემოღების მიმართ სისტემური მიდგომა უნდა შეინარჩუნოს, რათა აღმოფხვრას ყველა დარჩენილი ხარვეზი და უზრუნველყოს სურსათის ბიზნესოპერატორების საქმიანობის შესაბამისობა არსებულ მოთხოვნებთან.
- საკანონმდებლო დაახლოების ადმინისტრირების და კონტროლის ახალი მოთხოვნების შემოღებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ/სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა დაიწყოს პროაქტიული კამპანია სათაო ოფისისა და რეგიონულ ოფისებისთვის თანამშრომლების აყვანის, მომზადების და განვითარებისთვის.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა დაამკვიდროს სურსათის უვნებლობის საკითხებზე ტრენინგის პროგრამების შემუშავებისა და დამოუკიდებლად ჩატარების მდგრადი პრაქტიკა. ამავე დროს, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა მოუწოდოს დონორებს, არ ჩაატარონ პროგრამები დამოუკიდებლად, არამედ მოახდინონ მათი კოორდინირება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტრენინგცენტრთან.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ/სურსათის ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტმა ფინანსურ ანგარიშგებასა და ინგლისურ ენაში ამჟამად არსებული ტრენინგპროგრამების გარდა, უნდა შემოიღოს ტრენინგის სამი დამატებითი მიმართულება:
    - პირველი მიმართულება შესაძლოა მოიცავდეს ახალი თანამშრომლების საორიენტაციო ტრენინგსა და უნარების გაუმჯობესებას, რომლებსაც დაევალებათ კონკრეტული დავალებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის დეპარტამენტებში.
    - მეორე მიმართულება შესაძლოა, მოიცავდეს ტრენინგს არსებული თანამშრომლებისთვის დაკავებულ პოზიციებთან დაკავშირებული ტექნიკური უნარების გასაუმჯობესებლად, ასევე, ისეთ ტრენინგებს, რომლებიც ხელს შეუწყობს თანამშრომლეთა კარიერულ წინსვლასა და დამატებითი პასუხისმგებლობის აღებას სააგენტოში.
    - მესამე მიმართულება შესაძლოა მოიცავდეს სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, ორი მიმართულებით (1) გამოვლენილი ახალი მავნებლების ან დაავადებების იდენტიფიცირების და კონტროლის მოთხოვნებისა და (2) საკანონმდებლო დაახლოების პროცესის შედეგად შემუშავებული ახალი ქართული კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ.

სურსათის ეროვნული სააგენტო

საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირება

- გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვითაც გამოკითხულთა 90%-მა არაფერი იცოდა სურსათის უვნებლობის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უკეთ უნდა მოახდინოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კოორდინირება, რათა მიღწეული იქნეს საერთო მიზნები სურსათის უვნებლობის საკითხებზე ტრენინგების და საზოგადოების ინფორმირების ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების გზით.
- მსგავსად, ფოკუსჯგუფების რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კვლავ დაბალია საზოგადოების ინფორმირების დონე, განსაკუთრებით, რეგიონებში; ამიტომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით დამატებითი ღონისძიებები უნდა განახორციელოს, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას საქმიანობენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები საქართველოში სურსათის უვნებლობის გამართულად ფუნქციონირებადი სისტემის შექმნისა და ამოქმედებისთვის.
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საზოგადოებას დამატებითი არხებით უნდა მიაწოდოს

ინფორმაცია იმის თაობაზეც, თუ როგორ და რა შემთხვევაში მიმართონ სააგენტოს სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ საჩივრით.

- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უფრო ხშირად უნდა მოაწყოს სამოქალაქო დარბაზის სხდომები კონკრეტული საკითხების შესახებ, რათა ამ საკითხების შესახებ საზოგადოების პოზიცია იყოს თანამონაწილეობითი და ასახავდეს ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებას.
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა იფიქროს იმ რეკომენდაციების მიღებაზე, რომლებიც ევროპის ფონდის მიერ 2016 წლის სექტემბერში ორგანიზებულ გასვლით სემინარზე შემუშავდა სამოქალაქო დარბაზის სტრუქტურისა და პროცესის გასაუმჯობესებლად; ამ რეკომენდაციებით შემოთავაზებულია სამოქალაქო დარბაზის სტრუქტურაში 5 სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლებიც რეგულარულად შეიკრიბებიან. სამუშაო ჯგუფების იმსჯელებენ შემდეგ თემებზე: (1) სურსათის უვნებლობის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა, (2) სურსათის უვნებლობის იმპორტის რეგულაციები, (3) სურსათის უვნებლობის განხორციელება, (4) კონტროლის შედეგების გამჭვირვალობა და (5) სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება სურსათის უვნებლობის შესახებ.
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სამინისტროებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს რეგისტრირებული სურსათის ბიზნესოპერატორებისათვის სურსათის უვნებლობის ახალი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უფრო ეფექტიანი მეთოდი.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა გაზარდონ ძალისხმევა მეფუტკრეების ინფორმირებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ვეტერინარიული მედიკამენტების სათანადოდ გამოყენება.

კონტროლის საკითხები

- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა განიხილოს მცირე ზომის სურსათის ბიზნესოპერატორების კონტროლის გაძლიერების შესაძლებლობები. ამის დამატებითი სარგებელი იქნება ის, რომ მზარდი ბიზნესოპერატორები აღარ გაანაწილებენ წარმოებას რამდენიმე კომპანიაში, რათა არ გადაკვეთონ კონტროლის ზღვარი, რაც, რამდენიმე რესპონდენტის თქმით, ამჟამად ხდება ბაზარზე.
  სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა შექმნას ბიზნესოპერატორების მიკვლევადობის ელექტრონული პლატფორმა, რათა პირადი ან კომპანიის მაიდენტიფიცირებელი ნომრების მეშვეობით მიაკვლიოს მათ მიმწოდებლებს, მოამზადოს მცირე ზომის ბიზნესოპერატორები კონტროლის გაზრდილი ტვირთისთვის სამომავლოდ, უზრუნველყოს ამჟამად კონტროლირებადი ბიზნესოპერატორების შესაბამისობა და გამოავლინოს ფინანსური ანგარიშგების დამრღვევები; პლატფორმა უნდა დაუკავშირდეს შემოსვლების სამსახურის ტრანსპორტირების/გაყიდვების ელექტრონული დოკუმენტირების უკვე მოქმედ სისტემას. ეს დამატებით, ხელს შეუწყობს არარეგისტრირებული ბიზნესოპერატორების მხრიდან უსამართლო კონკურენციის აღმოფხვრას.
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბიზნესოპერატორებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მხოლოდ საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ და არ მიაწოდოს მათ ისეთი დეტალური რეკომენდაციები, რაც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. ეს შესაძლებლობას მისცემს სურსათის ბიზნესოპერატორებს, თავად შეიმუშაონ რეგულაციებთან შესაბამისობის სტრატეგია და წარუდგინონ ის სურსათის ეროვნულ სააგენტოს აღიარების მისაღებად. ასეთი მიდგომა შეამცირებს სააგენტოს თანამშრომელთა დატვირთვას და გააჩენს შესაძლებლობებს კერძო სექტორის საკონსულტაციო სერვისების შემდგომი განვითარებისთვის.
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა განიხილოს მის მიერ მოთხოვნილი ინსპექტირების ინტერვალის შეცვლა და რისკის საფუძველზე განსაზღვროს ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების შესაბამისი სიხშირე (მაგალითად, ყოველთვიური, კვარტალური, წლიური) თითოეული ტიპის ბიზნესოპერატორისთვის. მართალია, ეს გაზრდის შესაბამისობის ხარჯებს ბიზნესოპერატორებისათვის, მაგრამ გააძლიერებს სურსათის უვნებლობის სისტემას და

მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვას და ამავდროულად, გაზრდის მოთხოვნას კერძო ლაბორატორიების სერვისებზე ბიზნესოპერატორების მხრიდან. სურსათის ეროვნული სააგენტოს აღსრულების მსგავსი მექანიზმი ნაწილობრივ უკვე დანერგილია, რადგან სააგენტოს ინსპექტორები, ინსპექციის ჩატარებისას, ბიზნესოპერატორებისგან უკვე ითხოვენ ლაბორატორიული ანალიზის შედეგების წარდგენას; ამრიგად, რაიმე დამატებითი ხარჯი ან ღონისძიება არ იქნება საჭირო.

- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სწრაფად უნდა გადაჭრას ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფის პრობლემა, რათა რეგიონულმა ოფისებმა შეძლონ თავიანთი საქმიანობის ნორმალურად წარმართვა.
- დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ლაბორატორიული შემოწმებების შედეგებს შორის განსხვავებების აღმოსაფხვრელად, სააგენტომ ეპიდემიის გამოსაკვლევად ლაბორატორიული სერვისების მიმწოდებლების უფრო მკაცრი და ტექნიკური მოთხოვნებით უნდა შეარჩიოს და ამრიგად უზრუნველყოს ანალიზების შედეგების საიმედოობა.
- მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოში მრავალი რეფორმა და სისტემური ცვლილება განხორციელდა სურსათის მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებით და 2016 წელს, მიკვლევადობის კუთხით, გარკვეული დადებითი ნაბიჯები გადაიდგა, ქვეყანაში ეს სისტემა სათანადოდ მაინც არ მუშაობს. საჭიროა მიკვლევადობის სისტემის ეფექტური ამუშავება, რაც სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის წინაპირობაა.

ტრენინგი და ადამიანური რესურსები

- რეგიონული პერსონალისთვის აუცილებელია გაძლიერებული ტრენინგების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინსპექტირების ერთნაირი ხარისხით ჩატარება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს ტრენინგები შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკული ტრენინგსა და უფრო გამოცდილ პერსონალთან ერთად რეალური ინსპექციის ჩატარებას.
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ყველა რეგიონში უნდა გაწვრთნას და ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს ინსპექტორებს მათ მიერ გაცემული ყველა კონსულტაციის, რეკომენდაციისა და მოთხოვნის აღრიცხვის თაობაზე, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სურსათის უვნებლობის რეგულაციებს და უზრუნველყოფდეს ანგარიშვალდებულებას და ურთიერთკავშირს წინა და შემდგომ ინსპექციებს შორის. გარდა ამისა, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა უნდა გამოიყენონ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, შემოწმებული საწარმოების სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სერტიფიკატები (მაგ, ISO 22000), და გაითვალისწინონ თავიანთ დასკვნებსა და რეკომენდაციებში.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა მოუწოდონ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს, დროულად მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია სურსათის იმ ბიზნესოპერატორების შემოწმების შედეგების შესახებ, რომლებიც სურსათის უვნებლობის კონტროლს ექვემდებარებიან. გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რეკომენდაციები და ევროკავშირის ქვეყნების მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია ევროპის ფონდის 2016 წლის ანგარიშში „სურსათის უვნებლობის გამჭვირვალობის და ეტიკეტირების კონტროლის შედეგები“.
- ვინაიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს ინტრანეტი არ არის სრულად განვითარებული ან ყველა რეგიონში ხელმისაწვდომი, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა დაასრულოს მისი გამართვა და მთელს სისტემაში დანერგვა, რისთვისაც საჭიროა სააგენტოში მკაფიოდ განისაზღვროს პასუხისმგებლობები ინტრანეტის ექსპლუატაციასა და მისი შინაარსის განახლებასთან დაკავშირებით.

წყალმომარაგების სისტემები

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს სტრატეგია სურსათის ეროვნული სააგენტოსა

და წყალგამანაწილებელი კომპანიების მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზების შედეგებს შორის განსხვავებების დასადგენად და შექმნას სამოქმედო გეგმა შეუსაბამობების დადასტურების შემთხვევებისთვის. გარდა ამისა, იმ მუნიციპალურმა თვითმმართველობებმა, რომელთა ტერიტორიებზე არ არის ცენტრალიზირებული ან ორგანიზებული წყალმომარაგების სისტემა, უნდა შეიმუშაონ ამ ტერიტორიებზე წყლის ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის პროგრამა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრს, რისკის შეფასების განსახორციელებლად სჭირდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის და სხვა სამთავრობო უწყებების მონაცემებთან უკეთესი წვდომა.
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უნდა გადახედოს რისკის შეფასებაში მისი დეპარტამენტების შესაძლებლობებს, რათა განსაზღვროს ამ ფუნქციების ისე გაერთიანება, რომ უზრუნველყოს ვეტერინარიული და ფიტოსანიტარიული რისკების შეფასების სათანადოდ ჩატარება.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და შემოსავლების სამსახურმა უნდა დანერგონ ვაჭრობის კონტროლის და ექსპერტიზის სისტემა (TRACES), რაც მოაგვარებს სასაზღვრო კონტროლისა და სააგენტოს ინსპექტირების განსხვავებული შედეგების საკითხს. სურსათის ეროვნული სააგენტოს თქმით, სისტემის დანერგვა 2017 წელს არის დაგეგმილი. TRACES წარმოადგენს ევროკავშირის მრავალენოვან ონლაინ ინსტრუმენტს და მოიცავს ყველა იმ სანიტარიულ მოთხოვნას, რომელიც ვრცელდება ევროკავშირში შიდა ვაჭრობასა და მესამე ქვეყნებიდან შეტანილი სურსათის, საქონლის საკვების, მცენარეების, ცხოველების და სხვა პროდუქტების იმპორტზე. სისტემის მთავარი სარგებელი არის ის, რომ მთელი სასერტიფიკაციო პროცესი და მასთან დაკავშირებული პროცედურები ელექტრონულადაა ხელმისაწვდომი და პროდუქტის პარტიების მიკვლევადობა გაუმჯობესებულია. მართალია, TRACES-ის გამოყენების დასაწყებად რაიმე დამატებითი კანონმდებლობა არ არის აუცილებელი, მაგრამ 2017 წლის ჰარმონიზების გეგმა ითვალისწინებს ევროკავშირის ისეთ 6 საკანონმდებლო ინსტრუმენტთან დაახლოებას, რომლებიც TRACES-ს ეხება.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

- საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის გათვალისწინებით, რომელიც ფალსიფიცირებასთან, გაყალბებასთან და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ პროდუქტებთან დაკავშირებული დარღვევების გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას გულისხმობს, საგამოძიებო სამსახურმა სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურთან კოორდინაციაში უნდა იმოქმედოს და საკანონმდებლო დაახლოების პროცესში კონტროლის ახალი მოთხოვნების ყოველწლიურად შემოღების პარალელურად რეგულარულად შეათანხმოს მათთან აქტივობები.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ვინაიდან საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის ახალი რეგულაცია სავალდებულო საკვალიფიკაციო ტესტირების ან ლაბორატორიათაშორისი შედარებების შესახებ ჯერ პირველი წელია რაც ხორციელდება, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს და დახმარება გაუწიოს ყველა აკრედიტებულ ლაბორატორიას, შეასრულოს ეს ახალი რეგულაცია.
- საქართველოს ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ერთი ან რამდენიმე რეფერენტული ლაბორატორიის შექმნას, რომლებიც ერთობლივად მოხდენენ საქართველოში გამოყენებული იმ მეთოდოლოგიების უმეტესობის დაფარვას, რომლებიც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიულ და ფიტოსანიტარიულ ლაბორატორიულ ანალიზებს ეხება.
- საქართველოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ უფრო

პროაქტიულად უნდა მოახდინოს ბიზნესოპერატორებისთვის თავისი დაკალიბრების და გაზომვის სერტიფიცირების სერვისების შეთავაზება, რათა შესრულდეს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების მოთხოვნები ხელსაწყოების დაკალიბრებაზე.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგია და მოახდინოს მისი ასახვა ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო (და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)

- ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ და საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ უნდა განსაზღვრონ სტრატეგია სურსათის ეროვნული სააგენტოსა და წყალგამანაწილებელი კომპანიების მიერ ჩატარებული ანალიზების შედეგებს შორის განსხვავებების დადგენისთვის და შეიმუშაონ სამოქმედო გეგმები შეუსაბამობების დადასტურების შემთხვევებისთვის.
- ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად უნდა უზრუნველყოს უვნებელი წყლის მიწოდება და მოახდინოს ხარისხის აუცილებელი მონიტორინგი იმ არეალში სადაც არ არსებობს წყლის დისტრიბუციის ცენრალიზებული ან ორგანიზებული სისტემა.

საქართველოს პარლამენტი

- პარლამენტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ცვლილებები უნდა შეიტანოს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის საქართველოს კოდექსში'', რათა შესწორდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმების მოცულობა ისე, რომ ჯარიმა შეესაბამებოდეს დარღვევის სიმძიმეს და კონკრეტული სურსათის ბიზნესოპერატორის საწარმოო შესაძლებლობებს.
- პარლამენტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, 2020 წლამდე უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რათა დაჩქარდეს სურსათის მცირე ზომის იმ ბიზნესოპერატორების სურსათის ეროვნული სააგენტოს კონტროლისთვის დაქვემდებარება, რომელთა წლიური შემოსავლები 200,000 ლარზე ნაკლებია.